90 წუთი უგოლოდ

თბილისის `დინამო” - ლენინგრადის `ზენიტი”

თბილისის `დინამოს” სტადიონზე გაიმართა მორიგი საკონტროლო მატჩი. ერთმანეთს შეხვდნენ ადგილობრივი `დინამო” და ლენინგრადის `ზენიტი” (თბილისელთა შემადგენლობა: კოტრიკაძე, ბ. სიჭინავა, ჭელიძე, რეხვიაშვილი, ცხოვრებოვი, პეტრიაშვილი, იამანიძე, ხუციშვილი, ბარქაია, მაისურაძე, ვეკუა).

მძიმე, ტალახიანი მინდორი საგრძნობლად უშლიდა ხელს ორივე გუნდს. მოთამაშეებს უჭირდათ ტექნიკური ილეთების სწორად შესრულება, ბურთის დამუშავება, რის გამოც თამაშს ხშირ შემთხვევაში ძალისმიერი ბრძოლის ხასიათი ჰქონდა.

ინიციატივას მეტწილად თბილისელები ფლობდნენ, მაგრამ “ზენიტმა” რამდენიმე ძალზე სახიფათო მომენტი შექმნა. საკმარისია ითქვას, რომ დინამოელთა კარი ორჯერ გადარჩა ძელის წყალობით. მასპინძლები შედარებით უკეთ თამაშობდნენ მეორე ტაიმში, როცა ხუციშვილმა და ვეკუამ ვერ შეძლეს რამდენიმე ხელსაყრელი მომენტის გამოყენება.

მატჩი დამთავრდა ისე, რომ გოლი არ გატანილა - 0:0

ამავე გუნდების დუბლიორთა შემადგენლობების შეხვედრა ასევე ფრედ დამთავრდა - 1:1.

“ ლელო”, 4 აპრილი, 1965 წ.